პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— ოქტომბერი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, კედარის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის კედარის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. საბურთალოს რაიონში, კედარის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს კედარის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

ვეფრის II ფეხიანი
ვეფრის I ფეხიანი
ვეფრის ქუჩა
ლეო ვეკუაძის ქუჩა
72.16.21.852
72.16.21.848
72.16.21.849
72.16.21.850
72.16.21.853
72.16.21.824
72.16.21.825
72.16.21.812
72.16.21.722
72.16.21.723
72.16.21.724
72.16.21.725
72.16.21.726
72.16.21.721
72.16.21.720
72.16.21.717
72.16.21.719
72.16.21.716
72.16.21.718
72.16.21.715
72.16.21.714
72.16.21.707
72.16.21.706
72.16.21.703
72.16.21.701
72.16.21.702
72.16.21.015
72.16.21.014
72.16.21.013
72.16.21.113
72.16.21.114
72.16.21.115
72.16.21.120
72.16.21.116
72.16.21.118
72.16.21.117
72.16.21.053
72.16.21.051
72.16.21.050
72.16.21.080
72.16.21.441
72.16.21.749
72.16.21.146
72.16.21.757
72.16.21.755
72.16.21.754
72.16.21.753
72.16.21.752
72.16.21.751
72.16.21.750
72.16.21.804
72.16.17.352
01.01.023
1:1

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

13 / აგვისტო / 2025 წ.

06-032522528-03

KA011771112126125

№ **182651**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გაცნობებთ, რომ 2025 წლის 8 აგვისტოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს M25009978 განცხადებით მომართა მოქალაქე სულხან სულხანიშვილმა (პ/ნ:01019017398), რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობა შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, ქვემო ლისი (საკადასტრო კოდით N 72.16.21.757).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N 72.16.21.757) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
მტკიცებულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032527320**
თარიღი: **30/09/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2025 წლის 14 აგვისტოს საქმე #06-032522528-03 დაკავშირებით, რომლითაც სულხან სულხანიშვილის M25009978 განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება (ს.კ.72.16.21.757).
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ კედარის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხის სიტუაციური ნახაზი დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 4 (ოთხი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი